პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 163 (3140) 23 1966 წ. აგვისტო, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

# მმართველობის ახალი ერა

## ე. ჰეიდონ-ჯონსისა და ა. მეტრეველის ბრწყინვალე გამარჯვება

საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში ერთმმართველობის ერა დაიწყო. ახალი „მონარქის" — ა. მეტრეველის კურთხევა მოხდა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.

ტურნირის ბოლო ასპარეზობას გუშინწინ 7 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ჩოგბურთის მოყვარულთა მზარდ ინტერესს ადრევე აუღეს ალღო და დასკვნითი ეტაპი ლუჟნიკის საჩოგბურთო ქალაქიდან მცირე სარბიელზე გადაიტანეს. ეს იყო დროული და მართებული ოპერატიულობა.

ქალთა ყველა ფინალურ მატჩში ე. ჰეიდონ-ჯონსის გვარს შეხვდებოდით. მაგრამ ტურნირის ბოლო დღეს ინგლისელ ჩოგბურთელს ერთი შეხვედრით ნაკლები უნდა ჩაეტარებინა, ვინაიდან I ადგილი წყვილთა შორის (ჰოლანდიელ ბ. სტოუვთან ერთად) მან ჯერ კიდევ შაბათს გაინაღდა.

ე. ჰეიდონ-ჯონსი მარტო „დიდ ჩოგბურთში" როდია პოპულარული. მას კარგად იცნობენ ე. წ. „მცირე ჩოგბურთის" (მაგიდის ჩოგბურთი) წრეებშიც. იგი მსოფლიოს 3 ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია ამ სახეობაში. კვირას ინგლისელი სპორტსმენის მეტოქე ა. დმიტრიევა იყო ერთეულთა შეხვედრებში. ჯონსმა ორ პარტიაში სძლია სსრ კავშირის ჩემპიონს (6:1, 6:3), რომელიც ერთწლიანი შესვენების შემდეგ ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში.

მესამე გამარჯვება ჰეიდონ-ჯონსმა ა. მეტრეველთან გაიყო. ამ მრისხანე წყვილმა ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფარ-ხმალი დააყრევინა ტეგარტ (ავსტრალია) — ლეიუსის (სსრ კავშირი) დუეტს—7:5, 8:6.

ვაჟთა ერთეულების ფინალში თბილისელ სტუდენტს მოსკოველი ვ. ეგოროვი შეხვდა. ამ უკანასკნელის მისია, ფაქტიურად ფინალში გასვლით ამოიწურა. მეტრეველის წინააღმდეგ წარმატების შანსი მას არ ჰქონდა. მართლაც, თბილისელმა იოლ გამარჯვებას მიაღწია — 6:1, 6:2, 6:3.

სპეციალისტების აზრით, ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო მეტრეველ — ლიხაჩოვისა და ეგოროვ — კოროტკოვის წყვილთა მატჩი. გამარჯვება ოთხ პარტიაში (4:6, 8:6, 6:1, 8:6) მეტრეველსა და ლიხაჩოვს დარჩათ.

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა. იგი აღინიშნა ა. მეტრეველისა და ე. ჰეიდონ-ჯონსის სამმაგი გამარჯვებით.

## სსრ კავშირის პირველობა

### „ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 23 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 22 | 15 | 6 | 1 | 46—8 | 36 |
| ცსკა | 20 | 11 | 6 | 3 | 45—26 | 28 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 21 | 11 | 6 | 4 | 31—23 | 28 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 10 | 7 | 6 | 36—24 | 27 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 20 | 7 | 11 | 2 | 19—13 | 25 |
| სკა (როსტოვი) | 21 | 12 | 1 | 8 | 33—33 | 25 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 21 | 9 | 5 | 7 | 32—22 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 21 | 7 | 7 | 7 | 23—21 | 21 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 19 | 9 | 3 | 7 | 20—20 | 21 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 22 | 8 | 5 | 9 | 29—35 | 21 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 21 | 7 | 6 | 8 | 25—18 | 20 |
| „დინამო" (მინსკი) | 21 | 6 | 8 | 7 | 22—25 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 22 | 6 | 7 | 9 | 16—29 | 19 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 22 | 5 | 8 | 9 | 20—28 | 18 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 7 | 3 | 9 | 17—23 | 17 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 21 | 6 | 4 | 11 | 28—39 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 20 | 3 | 8 | 9 | 15—29 | 14 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 19 | 4 | 1 | 14 | 15—32 | 9 |
| სკა (ოდესა) | 21 | 1 | 6 | 14 | 11—35 | 8 |

• • •

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

მოსკოვში შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი). თამაში დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 2:0. ეს ლიდერის პირველი დამარცხებაა.

ერევანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატი" და როსტოვის არმიელთა გუნდი. მატჩის ანგარიშია 1:0 „არარატის" სასარგებლოდ.

მინსკის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## გუშინ... ბოლო 5 წუთში...



ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 22 აგვისტო.

„დინამო" (ბათუმი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 3:3 (3:1).

„დინამო": კვახაძე, გიორგიაძე, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, ილურიძე, ვერულიძე, შაფათავა, კონიაშვილი, ქიქავა (მესხი), როგავა.

„ბალტიკა": იშერსკი, აზაროვი, რაკიტინი, ზახაროვი, ალექსანოვი, ვ. სოლოვიოვი, აგაპოვი, პიატკოვი, კოზლოვსკი, ი. სოლოვიოვი, ვასენინი.

მსაჯი ე. ლომოვაცკი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:2.

დინამოელებმა თამაში დაიწყეს იმით, რომ უხეში შეცდომა დაუშვეს დაცვაში და საშუალება მისცეს ი. სოლოვიოვს სულ ახლო მანძილიდან გაეხსნა ანგარიში — 1:0. ამ მარცხს მოყვა მათი ხანგრძლივი, ძლიერი იერიშები. მე-18 წუთზე „ბალტიკის" ერთ-ერთმა მცველმა ცუდად ითამაშა, მეკარე იშერსკიმ ვერ შეძლო ბურთის ხელში გაჩერება და შაფათავამ აღადგინა წონასწორობა — 1:1. სამიოდე წუთის შემდეგ სტუმრებმა წესი დაარღვიეს საჯარიმო მოედანზე და ვერულიძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1, ხოლო მას შემდეგ, რაც კონიაშვილმა შაფათავას გადაცემიდან ანგარიში აიყვანა 3:1-მდე, დინამოელთა გამარჯვება თითქოს ეჭვს აღარ იწვევდა.

ეს რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა მეორე ტაიმში. მართალია, ქიქავამ და კონიაშვილმა ვერ გამოიყენეს კარგი მომენტები, მაგრამ მატჩის დამთავრებას სულ 5 წუთი აკლდა და ანგარიშიც საკმარისი იყო.

სწორედ ამ მცირე დროში გაუშვეს დინამოელებმა ხელიდან გამარჯვება. ჯერ ერთი გოლი გაქვითა კოზლიუკმა, ხოლო შემდეგ აგაპოვმა 89-ე წუთზე ქულა აალებინა თავის გუნდს — 3:3.

ვ. მოსეშვილი.

(ჩვენი კორ.).

## უცხოეთის სარბიელი

◆ ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. ინგლისში ამასწინანდელი დამარცხებისთვის თავისებური რევანში აიღეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა ბრაზილიის ფეხბურთელებმა. ნიუ-იორკში გამართულ „ჩემპიონთა თასზე" შეჯიბრებაში ბრაზილიის „სანტოსმა", რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად პელეც გამოდიოდა, ანგარიშით 4:0 დაამარცხა პორტუგალიის „ბენფიკა". მართალია, პელემ 1 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ დანარჩენი 3 მისი მოწოდებიდან გავიდა. ეუსებიომ კი ვერც ერთხელ ვერ შეძლო „სანტოსის" კარის აღება.

◆ სან-რემო, 22 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოდიან მასპინძლების, შვეიცარიის, უნგრეთის, ინგლისის, გფრ-ისა და სსრ კავშირის საკლუბო გუნდები. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა — „ბურევესტნიკის" ფეხბურთელებმა პირველი მატჩი ფრედ — 0:0 ითამაშეს ნეაპოლის „ნაპოლთან".

◆ ლონდონი, 22 აგვისტო. ბრიტანეთის დედაქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების დროს 5.000 მეტრზე რბენაში 13.45,0 აჩვენა ინგლისელმა ა. რაშმერმა. II იყო ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ტუნისელი გამუდი. დამარცხება იგემა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რენდმა. სიგრძეზე ხტომაში I იყო რუმინელი ვ. ვისკოპოლიანუ — 623 სმ. ოლიმპიური ჩემპიონის შედეგია 608 სმ.

◆ სტოკჰოლმი, 22 აგვისტო. რამდენიმე ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობენ აქ მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ჯერჯერობით მაღალი შედეგის ჩვენება შეძლო მხოლოდ ფრანგმა რ. სენტ-როზმა, რომელმაც დაძლია 215 სმ სიმაღლე.

◆ კოპენჰაგენი, 22 აგვისტო. ჭაბუკ ცხენოსანთა ევროპის ჩემპიონატზე სსრ კავშირის გუნდმა დაიკავა IV ადგილი (28 საჯარიმო ქულა). ჩემპიონები გახდნენ იტალიელები (8 ქულა). II ადგილი დაიკავეს ბელგიელებმა (12), III — შვეიცარიელებმა (15).

◆ სტავროპოლი, 22 აგვისტო. აკრობატიკის მოყვარულებმა, რომლებიც აქ გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაზე მოვიდნენ აკრობატულ ხტომებში, ისეთი რამ იხილეს, რაც ჯერ არავის არ უნახავს მსოფლიოში. მინსკელმა ვ. როძიანკომ პირველად ამ სახეობის ისტორიაში შეასრულა ურთულესი ორმაგი სალტო ჩაზნექით 360 გრადუსზე ტრიალით.

ჩვენი ქვეყნის გარდამავალი თასი მოიპოვა ყაზანის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტმა ი. დულატოვმა, რომელმაც 4 ვარჯიშში დააგროვა 41,7 ქულა. ქალთა შორის გაიმარჯვა სტავროპოლის 42-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე ნ. ტიმოფეევამ.

## ლიდერის დამარცხება

### „ა" კლასი II ჯგუფი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 22 აგვისტო.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:1 (1:1).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, მირიანაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, ძაგანია, მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, გავაშელი (ჰელიძე), კოშკელოვი.

„ჟალგირისი": ავერბუხი, ლიაუდაიანსკასი, ჟილინსკასი, შეიბოსკასი, რამიალისი, ბანკაუსკასი, ლეშჩინსკასი, კალედინსკასი, ზელკიავიჩუსი, გლოდიანისი, ბალინასი.

მსაჯი ს. სეროპიანი (ერევანი).

დუბლიორები — 2:2.

წლევანდელ სეზონში თბილისის „ლოკომოტივს" ჰქონდა პერიოდი, როცა იგი კარგად იბრძოდა და სატურნირო ცხრილშიც ამის შესაბამისად მაღალი ადგილი ეკავა. მაგრამ შემდგომში გუნდმა საგრძნობლად მოუკლო თამაშს და ახლა ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება ცხრილის ქვემო ნახევარში.

სწორედ ახლა მოუწიათ თბილისელებს შეხვედრა ქვეჯგუფის ლიდერთან — „ჟალგირისთან", რომელთანაც I წრეში დამარცხდნენ — 0:2.

გუშინდელი შეხვედრა „ლოკომოტივმა" ერთობ დაბალ ტემპში, ყოველგვარი მონდომების გარეშე დაიწყო. სულ ხუთიოდე წუთი იყო გასული მატჩის სასტვენის შემდეგ და „ჟალგირისმა" რამდენიმე სახიფათო კომბინაცია გაითამაშა, ამასთან მისი ფორვარდები სრულიად თავისუფლად, თითქმის შეუფერხებლად გადიოდნენ მოწინააღმდეგე დაცვაში. დამთავრდა ყველაფერი ეს იმით, რომ ზელკიავიჩუსმა ერთ-ერთი შეტევა ძლიერი, ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

მართალია, ეს გოლი რკინიგზელებმა მალე გაქვითეს (ბურთი გაიტანა კაიშაურმა), მაგრამ გუნდმა მაინც ვერ ააწყო თამაში. ცალკეული ფეხბურთელები (გავაშელი, კოშკელოვი, მაზიაშვილი) ზედმეტად აჩერებდნენ ბურთს, ზოგნი უშვებდნენ ტექნიკური ხასიათის შეცდომებს და ტაიმი ძირითადად „ჟალგირისის" ინიციატივით მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ კარგახანს ბრძოლას გარდამავალი ხასიათი ჰქონდა. შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ თბილისელები და როცა მატჩის დასასრულს აკლდა 2 წუთი, კაიშაურმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი, რომელმაც „ლოკომოტივს" გამარჯვება მოუტანა.

ი. ცხვედაძე.

### „ბ" კლასი IV ზონა

20 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. აი, შედეგებიც: „არაქსი" (ერევანი) — „ენგური" (ზუგდიდი) 2:1, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „დინამო" (სოხუმი) 3:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:0, „უროჟაი" (კრიმსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:1, „უროჟაი" (მაიკოპი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „დინამო" (მახაჩყალა) 5:0, „ურალანი" (ელისტა) — „დილა" (გორი) 2:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 1:3, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „ლორი" (კიროვაკანი) 3:0.



საწყალოსნო თხილამურებით გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე თავი ისახელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსმა ინჟინერმა ა. სანაძემ, რომელმაც მოიგო ცალი თხილამურით სლალომი, III იყო ტრამპლინიდან ხტომაში და სამჭიდის შედეგების შეჯამებისას I ადგილი დაისაკუთრა.

სურათზე: ა. სანაძე ტრამპლინიდან ხტომის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2-3 გვ.

# კობა წაქაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი



Საქართველოს ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა გამოჩენილ ტრამპლინიდან მხტომელს კობა წაქაძეს. იგი სათხილამურო სპორტში პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელსაც ეს საპატიო წოდება მიეკუთვნა.

კობა წაქაძემ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა, ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა ტრამპლინიდან ხტომის საკუთარი სტილი შექმნა, რომელიც იდეალურად ითვლება. აშშ-ის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, სკანდინავიის ქვეყნებისა და სხვა ტრამპლინებზე შესრულებული მისი ნახტომი მუდამ დახვეწილი მანერითა და იშვიათი სილამაზით გამოირჩეოდა, რისთვისაც წაქაძეს ჟურნალისტებმა „რაკეტა" და „ტორპედო" შეარქვეს. მართლაც, რომ გატყორცნილ ტორპედოს ჰგავს ამ მფრინავი მოთხილამურის ფრენა!

კობას უასპარეზია ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში. შარშან ჰოლმენკოლენში გამართულ მსოფლიოს პირველობაში მან VI საპრიზო ადგილი დაიკავა. ამგვარ ტურნირში ასეთი შედეგისათვის სსრ კავშირის სპორტსმენთაგან მანამდე არავის მიუღწევია.

სურათზე: კ. წაქაძე.

# 3 პრეტენდენტი: მორელონი, ტურინი, ფხაკაძე

ამას წინათ, მოსკოვში გაიმართა ველოსიპედისტთა ორი დიდი ასპარეზობა — სსრ კავშირის პირველობა სალიდერო რბოლაში და საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა საფრანგეთის ნაკრებთან. აღნიშნული შეჯიბრებები მსოფლიო ჩემპიონატის წინ ძალთა შემოწმებასაც ისახავდნენ მიზნად და, ამდენად, საერთო ინტერესი გამოიწვიეს. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ამ ორივე ტურნირის მთავარ მსაჯს, სპორტის ოსტატ ა. გუნიას და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

● **ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა ო. პროკოპენკომ და ი. კავსაძემ ამას წინათ დიდ წარმატებას მიაღწიეს სალიდერო რბოლაში და 4 საკავშირო რეკორდი გააუმჯობესეს. რა მოუვიდათ მათ საკავშირო პირველობაში?**

— დავიწყოთ იმით, რომ ერთ სეზონში 4 საკავშირო რეკორდი და ვერცხლის მედალი არც ისე ურიგო მაჩვენებელია. ეს მხოლოდ უძლიერესთა შორის უძლიერესების ხვედრია. ასე რომ, პირადად მე ჩემი თანაქალაქელების შედეგებით კმაყოფილი ვარ.

● **შეეძლოთ თუ არა მათ სსრ კავშირის ჩემპიონები გამხდარიყვნენ?**

— რა თქმა უნდა, შეეძლოთ, მაგრამ ამაში ჩვენს სპორტსმენებს ხელი შეუშალა უიღბლო წილისყრამ და ერთი შეხედვით, რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომამ. ჯერ ერთი, ახალ ჩემპიონებს — მ. მარკოვსა და მ. ზაიცევს სასტარტო ადგილების განაწილებისას № 1 შეხვდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ სხვებზე ადრე დაიკავეს უკეთესი პოზიცია. სხვათა შორის, წილისყრამ პროკოპენკოსა და კავსაძეს შარშანაც უმტყუნა, მაგრამ მათ მაინც შეძლეს ყველას ჩამოტოვება და ოქროს მედლების მოპოვება.

● **მაშ წლეულს რაღა დაემართათ?**

— საქმე ის არის, რომ შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში ისინი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. ჩემი აზრით, მათ სწორად ვერ შეარჩიეს დრო რეკორდების გასაუმჯობესებლად. უკეთესი იქნებოდა საამისოდ პროკოპენკოსა და კავსაძეს ჩემპიონატის შემდეგ ეზრუნათ, ან ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ორჯერ გამოსულიყვნენ სარეკორდო რბოლის სტარტზე. 4 საკავშირო რეკორდის დამყარების შემდეგ მათ ფინალისთვის ძალა ვერ აღიდგინეს. თავად განსაჯეთ, ფინალამდე 2 კვირით ადრე მათ 1 საათში 74 კილომეტრი გაიარეს, საკავშირო ჩემპიონატის ფინალში კი მხოლოდ 65 კმ. შეცდომად მიმაჩნია ნახევარფინალის მათებური ტემპიც. რა საჭირო იყო მეტოქეთა 4 წრით ჩამოტოვება, როცა გადამწყვეტი ბრძოლის უფლებას ნახევარფინალში პირველ ოთხ ადგილზე გასული ველოსიპედისტები იღებდნენ? ვფიქრობ, ჩვენმა დუეტმა ფინალამდე გაფლანგა ძალები.

● **რატომ არ გამოვიდა ო. ფხაკაძე ფრანგ ველოსიპედისტებთან მატჩში?**

— მსოფლიო ჩემპიონი ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ სავსებით ვერ მომჯობინდა და მწვრთნელებმა უარი თქვეს უაზრო რისკზე.

● **როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ფრანგმა სპრინტერებმა?**

— საუცხოო. დ. მორელონი და პ. ტრანტენი უმაღლესი კლასის ველოსიპედისტები არიან. ასეთებს მსოფლიოში ერთ-ორს თუ შეხვდები.

● **ჩვენს სპრინტერებზე რაღას იტყვით?**

— საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ ცხადყო, რომ სსრ კავშირს არ ჰყავს უმაღლესი კლასის № 2 სპრინტერი. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ო. ფხაკაძე „ეულად" იქნება.

● **რომელი ჯობს — მორელონი თუ ტრანტენი?**

— რა თქმა უნდა, მორელონი. ტაქტიკური მომზადების მხრივ მას ნაკლს ვერ უპოვი. ადრე სისწრაფე აკლდა, მაგრამ ბეჯითი წვრთნის შემდეგ ეს ხარვეზიც დაუძლევია. მოსკოვში, ერთ-ერთი სერიის დროს, მან ჩვენი ტრეკისთვის ზღაპრული სისწრაფე განავითარა 200 მეტრზე — 11,1 წამი. ეს სამი ერთიანი მრავლისმეტყველია. მორელონისთვის, ისევე როგორც ტრანტენისთვის, არ არსებობს ცუდი (ე. ი. პირველი) და კარგი (მეორე) პოზიცია. ისინი ყოველ ვარიანტში თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში.

● **თქვენი აზრით, ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი სპრინტში?**

— მორელონი, იტალიელი ტურინი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ომარ ფხაკაძე. საპრიზო ადგილები ამ სამ სპორტსმენს შორის განაწილდება.

# 1 საფეხურით წინ

სსრ კავშირის მოსწავლე-მოჭადრაკეთა გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ ვლადიმირში გაიმართა, ყველა მოძმე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა.

ბრძოლა დაიწყო სამ ნახევარფინალურ ტურნირში, საიდანაც ორ-ორი გუნდი ფინალში გადიოდა. საქართველოს მოჭადრაკეებმა მოუგეს თურქმენეთის (6:4), ყირგიზეთის (7,5:2,5), უზბეკეთის (5,5:4,5), მოლდავეთის (5,5:4,5) წარმომადგენლებს, წააგეს მოსკოველებთან (4,5:5,5) და, საბოლოოდ II-III ადგილები გაიყვეს უზბეკელ მეგობრებთან. მაგრამ ფინალში ჩვენები დაუშვეს, ვინაიდან მათ დამარცხებული ჰყავდათ ადგილის მოზიარენი.

ფინალურ ტურნირში თავიდან დაწინაურდა რსფსრ-ს გუნდი, მაგრამ უკრაინელებმა ლატვიასთან გამარჯვების (8:2) შემდეგ ხელთ იგდეს ლიდერობა. ბოლო დღეს მათ მთავარი მეტოქის — რსფსრ-ს ნაკრების დამარცხებაც (6:4) შეძლეს. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I უკრაინა (34), II რსფსრ (31,5), III მოსკოვი (26,5), IV ბელორუსია (25,5), V საქართველო (24), VI ლატვია (8,5).

— ფინალში ჩვენ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავდა. მათთან ბრძოლაში შარშან VI ადგილზე გავედით, წლეულს კი, როგორც ხედავთ, ერთი ადგილით წავიწიეთ წინ. ალბათ, უკეთეს შედეგს მივაღწევდით, გუნდში ნ. ალექსანდრია, ე. უბილავა და ც. კობაიძე რომ გვყოლოდა, — თქვა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, თბილისის ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლის დირექტორმა პ. ხიზანიშვილმა.

აი, ჩვენი გუნდის შედეგები: უკრაინასთან — 2,5:7,5, რსფსრ-სთან — 4:6, მოსკოვთან — 4,5:5,5, ბელორუსიასთან — 5,5:4,5 და ლატვიასთან — 7,5:2,5.

ბავშვებმა დიდი მონდომებითა და შეუპოვრობით იბრძოლეს. ყველაზე მეტად თავი ისახელა ოსტატობის კანდიდატმა გ. ციხელაშვილმა, რომელმაც I დაფაზე I ადგილი დაიკავა — 3,5 ქულა 5-დან. ვლადიმირის საოლქო გაზეთმა „პრიზივმა" დიდად შეაფასა თბილისელი მოჭადრაკის თამაში. გაზეთმა ერთ-ერთ ნომერში საგანგებოდ გამოაქვეყნა გ. ციხელაშვილის პარტიის გონებამახვილური დაბოლოება ოსტატ ა. ტიმოშჩენკოსთან (რსფსრ).

ა. ტიმოშჩენკო



გ. ციხელაშვილი

38. g6 a5 39. f5 a4? (უკეთესი იყო 39. ... ეd2 40. ე:d2 cd) 40. ლg3+ მფa8 (აგებდა 40. ... ლd6 41. ლ:d6+ ე:d6 42. g7) 41. ლ:h2 ab+ 42. cb d3 43. f7 c2 44. ლ:c2! dc 45. ე:d5 c1ლ 46. ე:d8+ მფb7 47. ეb8+ მფa7 48. ეa8+. ამ „ცოფიანი" ეტლის აყვანას 49. f8ლ+ მოჰყვება, ხოლო 48. ... მფb7 49. ეb8+ მფc7 აგებს 50. ეc8+ შემდეგ, თუ ეტლს არ აიყვან. ამიტომ ყაიმი.

მოგვყავს ჩვენი გუნდის სხვა წევრების შედეგები: II დაფა. III-IV ადგილები. ს. ჩეჩელიანი (2,5); III დაფა. II-III. გ. ვარდოსანიძე (3,5); IV დაფა. IV-V. ე. კარკმაზოვი (2); V დაფა. II. ა. ლიპარტელიანი (4); VI დაფა. V. ნ. ფარლალავა (1,5); VII დაფა. II. ვ. მეჩიტოვი (3,5); VIII დაფა. VI. ჯ. მუკნიაშვილი (1); გოგონები: I დაფა. IV-V. ა. ბაძალუა (1,5); II დაფა. V. მ. სანაძე (1).

ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ჩვენს ნორჩ მოჭადრაკეებს წარმატებით შეუძლიათ მოსწავლეთა 1967 წლის სპარტაკიადაში გამოსვლა. მთავარია, ბავშვებმა და მათმა მწვრთნელებმა ახლავე იზრუნონ მზადებაზე.

თ. ნინოშვილი.

# ჭადრაკი... „თამაშგარე მდგომარეობაში"

ამ დღეებში ოსლოში გამოსულ ცნობარში „სპორტსგაიდენი", აღწერილია სპორტის თითქმის 50 სახეობა. ცნობარი გათვალისწინებულია მოყვარულებზე, მაგრამ მასში სპეციალისტებიც ნახავენ სასარგებლო ცნობებს თამაშის წესებზე, რეკორდებზე, ბოლო დროის დიდ შეჯიბრებებზე, გამოჩენილ სპორტსმენებზე. წიგნში ყველაზე მეტი ყურადღება დათმობილი აქვს ზამთრის სპორტის სახეობებსა და ფეხბურთს, რომლებიც ნორვეგიაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. საინტერესოა აგრეთვე, განყოფილება, რომელშიც მოყვანილია წარსულისა და აწმყოს 100 გამოჩენილი ნორვეგიელი სპორტსმენის ბიოგრაფია.

ნამდვილ კურიოზად აღიქმება ის, რომ ესოდენ დაწვრილებით ცნობარში არ მოიძებნა ადგილი... ჭადრაკისთვის. „სპორტსგაიდენის" რედაქტორის უ. ვეიგორდის სიტყვით „ჭადრაკი არ არის სპორტის სახეობა, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკური თვალსაზრისით". ჩვენი აზრით, ცნობარის შემდგენელნი, უბრალოდ, მოისუსტებენ ჭადრაკში.

„სპორტსგაიდენი" პატარა წიგნია, მაგრამ იგი 27,50 ნორვეგიული კრონი ღირს. ეს მუშის დახლოებით ერთი დღის ხელფასის ნახევარია. ამ მხრივ ცნობარი როდია გამონაკლისი: წიგნები აქ მეტისმეტად ძვირია...

ე. კოსოვი.

ოსლო.

### სოხუმი

ფრენბურთელთა 8 გუნდი მონაწილეობდა აფხაზეთის „კოლმეურნის" პირველობაზე. გამარჯვება წილად ხვდათ ეშერის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს. მომდევნო ადგილებზე არიან გუმისთისა და კელასურის გუნდები.

შ. ჯალაღონია.



სურათებზე: მარცხნივ — საქართველოს ჩემპიონი წყლის თხილამურით სლალომში ო. გოცირიძე დისტანციაზე; მარჯვნივ — რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონი შუნარა ცნობილაძე ასპარეზობისას.

# ხაფა

თბილისის ზღვაზე თხილამურებით ასპარეზობის მესამე დღე ტრამპლინიდან მხტომელებს დაეთმოთ. ეს სახეობა ყველაზე რთულია და სპორტსმენისგან მეტ სიმშვიდეს, გააზრების უნარსა და ჯაფას მოითხოვს. ამიტომ, ჩვეულებრივ, მოთხილამურეები ცდილობენ ამ გადამწყვეტ ასპარეზობას კარგად დასვენებული და დამშვიდებული შეხვდნენ. სამწუხაროდ, საქართველოს პირველობის მონაწილე ვაჟთა უმრავლესობას ამის საშუალება არ მიეცა.

დღემდე უდავო ჭეშმარიტება იყო, რომ შეჯიბრების მონაწილეებს სარბიელი მზად უნდა ხვდებოდეს. არის ხალხი, რომელსაც საგანგებოდ ევალება ეს. თბილისის ზღვაზე კი სპორტსმენებსა და მსაჯებს საქმე უკვე მანამ გაუჩნდათ, სანამ ასპარეზობა დაიწყებოდა.

განსაკუთრებით გაძნელდა ტრამპლინისა და ნახტომის სიგრძის განმსაზღვრელის გასწორება. ა. სანაძე, მ. ბაქანიძე, ვ. ძაგანია, ი. შავიშვილი, ი. ბალანდიანი და სხვები დილიდანვე დაუღალავად ტრიალებდნენ, მაგრამ შუადღისთვის მაინც ვერ აუთავდნენ საქმეს. დაღლილ-დაქანცული მხტომელები ამ დროს სტარტზე გამოიძახეს. შედეგმა ცხადია, არ დააყოვნა: სპორტსმენები ტრამპლინიდან პანტასავით ცვიოდნენ წყალში, ზოგი წამოდგომასაც ვეღარ ახერხებდა (წესით, თუ სპორტსმენმა შეჯიბრების გაგრძელება შემთხვევით ადგილზე კატარღის დაბრუნებიდან 3 წუთის განმავლობაში შეძლო, მას ცდის უფლება ენიჭება), ხოლო ვინც იმარჯვა და ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა, მეორე ცდაზე მაინც გამოეთიშა პირველობას. ცხადია, ყველაფერი მოთხილამურეთა ვადაღლას არ უნდა მიეწეროს, მაგრამ ამ ფაქტორმა უდავოდ, საგრძნობი როლი შეასრულა მათს წარუმატებლობაში.

პირველი, ვინც „სახიფათო ზონა" გაარღვია, იყო ა. სანაძე (თბილისი I). იგი ჯერ 12,70 მეტრზე გადახტა, მერე კი — 16,33 მეტრზე. მაგრამ, ამჯერად, მის მოძრაობაში ჩვეული სიმსუბუქე არ იგრძნობოდა. სანაძეს 0,5 მეტრით აჯობა თანაგუნდელმა გ. ყიასაშვილმა, წინასწარ ტურნირში ყველაზე კარგი შედეგი — 17,83 მ — კი ვ. მელოვს (აფხაზეთი) ჰქონდა. ამათ გარდა ფინალში კიდევ ორი-სამი მხტომელი გავიდა, მაგრამ ბოლო ცდებს ადგილების განაწილებაში ცვლილება არ შეუტანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშუალო მეტოქე და სასარგებლო გაკვეთილი

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 21 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — ირანი (ნაკრები) 2:1 (1:0).

„დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა (ხართიშვილი), ილიადი, ხუციშვილი, იამანიძე, მეტრეველი, დათუნაშვილი.

ირანი: ზელი (ბაიათი), ქელიჩ-ხანი, ჰაბიბი, რანჯბარი, მეხრობი, არაბი, შირ-ზადეჩანი (ჯაბორი), ესმოილი (ფარმაზი), თალები, ბეხზადი, ეფმიჰარი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დიდი ხანია არ უნახავს თბილისელ მაყურებელს საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, სადაც დინამოელთა მეტოქე იქნებოდა ხეირიანი უცხოური კლუბი ან რომელიმე ქვეყნის ნაკრები გუნდი. 1962 წელს თბილისში იმყოფებოდა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი", ცნობილი, ძლიერი კლუბი, რის შემდეგ კარგი გუნდი ჩვენთვის უცხო ხილად იქცა.

გუშინწინ დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ირანის ეროვნული ნაკრები. გულახდილად რომ ვთქვათ, დღევანდელი საერთაშორისო ფეხბურთის ელიტაში არც ეს გუნდი ირიცხება, მაგრამ, ჩვენი აზრით, განვლილმა მატჩმა ზოგიერთი საყურადღებო და სასარგებლო რამ შესძინა თბილისელებს.

ამ „ზოგიერთიდან" გვინდა გამოვყოთ 2 ძირითადი მომენტი.

პირველი. რა თქმა უნდა, თამაშის საერთო კლასით, ცალკეულ მოთამაშეთა სიძლიერით ირანელები ვერ მოვლენ თბილისელებთან. ტექნიკაშიც, სისწრაფეშიც განსხვავება საგრძნობი და ხელსახებია, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის უნარი, მცველთა ანსამბლის მოქმედება სახიფათო მომენტებში და საერთო სათამაშო ტონუსი ირანელებს სანიმუშო აქვთ. მეტრეველის, გ. სიჭინავას, იამანიძის მიერ შესრულებული რთული ელემენტები შემდგომ გაგრძელებას ვერ პოულობდა იმის გამო, რომ სტუმრები თავგანწირვით თამაშობდნენ, ერთდროულად იყვანდნენ მტკიცე მარწუხებში როგორც თვით დრიბლიორს, ე. ი. ბურთის მფლობელ ფეხბურთელს, ისე მის შესაძლო პარტნიორებსაც კომბინაციის გასაგძელებლად. მათი კონტრიერიები სრულდებოდა ზუსტად, სწრაფად, და რაც მთავარია, დროულად.

მეორე. რომ შევადაროთ თბილისელთა მიერ უშუალოდ მეტოქის კართან შექმნილი სახიფათო მომენტები ირანელებისას, განსხვავება საკმაოდ მეტია „დინამოს" სასარგებლოდ. შეფარდება დაახლოებით გამოიხატება ციფრებით 5:1. შეტევათა ეფექტურობაც რომ ასეთივე პროპორციით დამთავრებულიყო, დინამოელები მატჩს მინიმალური განსხვავებით კი არ მოიგებდნენ, არამედ უფრო დამაჯერებლად. მიზეზი? მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენი თავდამსხმელები უამრავ ხელსაყრელ მომენტს ჰკარგავდნენ მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე, ჩვენი მოწინააღმდეგეები კი — არა. ის გოლიც, რომელიც ირანელებმა გაიტანეს „დინამოს" კარში, სულ არ წარმოადგენდა სახიფათო იერიშის შედეგს. გაიხსენეთ ეს გოლი: ეფმიჰარიმ 62-ე წუთზე დაახლოებით 35 მეტრიდან მოულოდნელად დაარტყა კარში, კოტრიკაძე გამოთიშული აღმოჩნდა თამაშიდან და ვერ შეძლო ბურთის აღება. ეს თითქოს უბრალო, მაგრამ ჩაფიქრებული და დამუშავებული მანევრი ჩვენმა სტუმრებმა რამდენიმეჯერ გაიმეორეს, 1 გოლი გაიტანეს, 1 ბურთი ფარმაზიმ ძელს მოახვედრა და რამდენიმეც ოდნავ ასცდა კარს. ყველა დარტყმა შესრულებული იყო შორიდან, მოულოდნელად, დინამოელები კი, როგორც წესი, უშედეგოდ ურტყამდნენ ახლოდან 8-12 მეტრის მანძილიდან.

საერთოდ, მატჩი ირანის ნაკრებთან თბილისელებმა ვერ ჩაატარეს დამაკმაყოფილებლად. არ იყო ტემპი, არც მონდომება ჩანდა. „დინამოს" თამაში უფრო რიგით საწვრთნელ ვარჯიშს ჰგავდა, ვიდრე საერთაშორისო შეხვედრას.

და მაინც გამარჯვება მოპოვებულ იქნა. პირველი გოლი მე-14 წუთზე გაიტანა დათუნაშვილმა, ხოლო მეორე — მეტრეველმა 47-ე წუთზე. საპასუხო გოლი ჩვენს მიერ ადრე იყო აღწერილი.

ზ. ქორქია.



... მოუთმენლად მოელოდნენ თავიანთ პირველ საერთაშორისო მატჩს ბაკურიანის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში მყოფი თბილისის განათლების განყოფილების სკოლის ნორჩი ფეხბურთელები. მათი მოწინააღმდეგე იყო მოსკოვის ცენტრალური კომკავშირული სკოლის სტუდენტთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ კონგოს, სუდანის, ნიგერიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

ნორჩმა მასპინძლებმა ფიცხელი ბრძოლა შესთავაზეს მეტოქეს. უფროსებმა ვერ გაუძლეს მასპინძელთა იერიშებს და გამარჯვება თბილისელებს დარჩათ — 6:1.

სურათზე: გუნდების კაპიტნები მატჩის წინ ესალმებიან ერთმანეთს.

ფოტო და ტექსტი ვ. ბუკინისა.

## ჯერ კიდევ

● ლვოვი, 21 აგვისტო. სამი დღის განმავლობაში ლვოვის ცას თვითმფრინავთა მოდელები სერავდნენ. მათ ჰაერში უშვებდა და მიწიდან მართავდა სსრ კავშირის 35-ე ჩემპიონატის 176 მონაწილე. შეჯიბრების პროგრამაში იყო ტაიმერული, რადიოსამართავი და რეზინძრავიანი მოდელებით ასპარეზობა. გუნდური პირველობა 6004 ქულით მოიპოვეს უკრაინელმა სპორტსმენებმა. პირად ტურნირში ჩემპიონები გახდნენ: რადიოსამართავ მოდელებში — მესამე წელი ზედიზედ — ვორონეჟელი ვ. კუმროვი, ტაიმერულ მოდელებში — ხარკოველი ვ. მოზერსკი, ხოლო რეზინძრავიანებში — ასევე ხარკოველი ა. ბოლდინი.

● გრიუნაუ, 21 აგვისტო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ პატარა ქალაქის ცისფერ ბილიკებზე დამთავრდა მსოფლიოს VII ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 6 პირველი, 3 მეორე და 4 მესამე ადგილი. ერთადგილიანი ბაიდარით ასპარეზობაში თავი ისახელა ლ. პინაევამ. მანვე მ. შუბინას, ა. სერედინასა და ა. ლევჩენკოსთან ერთად „ოქრო" დაისაკუთრა ოთხადგილიანების შეჯიბრებაში. ანალოგიური დუბლი გააკეთა კიეველმა ა. შაპორენკომ, რომელმაც ჯერ ი. სტაცენკოსთან ერთად გაიმარჯვა ორადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე, ხოლო შემდეგ მარტომ მოიგო ამ დისტანციაზე შეჯიბრება. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ვ. გრიშინის, გ. მოროზოვის, ა. ივანოვისა და ვ. ჩუეიკოვის კვარტეტი 10.000 მეტრზე რბოლაში. სსრ კავშირის სპორტსმენებმა მეექვსე გამარჯვება იზეიმეს ესტაფეტაში 4×500 მეტრზე.



კიშინიოველი სპორტის ოსტატი ვ. მახლოვსკაია-ბოლშევა კარგა ხანია ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება სსრ კავშირში. მან მძლეოსანთა წლევანდელ ჩემპიონატშიც ისახელა თავი — 100 და 200 მეტრზე რბენაში საპრიზო ადგილები მოიპოვა.

სურათზე: ვ. მახლოვსკაია-ბოლშევა სტარტზე.

ფოტო ბ. გლებოვისა.

## 8 სპორტის ოსტატი

გორის სპორტკავშირის ინიციატივით მოეწყო საინტერესო მოტოგადარბენა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 და დიდი ქართველი მწერლის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

გადარბენის მარშრუტი იყო გორი — ორჯონიკიძე — ნალჩიკი — არმავირი — როსტოვი — ხარკოვი — კიევი — ოდესა — სიმფეროპოლი — სევასტოპოლი — იალტა — ქერჩი — ანაპა — ნოვოროსიისკი — სოჭი — სოხუმი — გორი.

სპორტსმენებმა რთული ტრასა 16 დღეში დაფარეს. მოტოგადარბენის შემდეგ 8 მოტოციკლისტმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

## ჰაერში მოპოვებული ოქროს მედალი

საშვეულმფრენო სპორტში საკავშირო პირველობაზე მოპოვებული მედლების საკუთარ კოლექციას კიდევ ერთი სპორტული ჯილდო შესძინა როსტოველმა ი. გორიანსკიმ. მორიგ ვარჯიშში — „მარშრუტით ფრენისას მოსახვედ პუნქტებში დაწესებულ დროში პრაქტიკული ამოცანების შესრულებით" — მან 300 ქულა დააგროვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

## დღეს სტარტია

ევროპის იუნიორთა II ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად იტალიას გაფრინდა სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი (შეჯიბრება იწყება დღეს, ნეაპოლში). ტურნირში გამოდის 8 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ჯგუფებში შეხვედრების შემდეგ გამოვლინდებიან ნახევარფინალისტები. „ა" ჯგუფში გამარჯვებული შეხვდება „ბ" ჯგუფში II ადგილზე გასულს და პირიქით. გამარჯვებულნი გაითამაშებენ I ადგილს, ხოლო დამარცხებულნი — III. ასეთივე პრინციპით გაირკვევა დანარჩენი ადგილების მფლობელთა ვინაობაც.

„ა" ჯგუფში არიან: სსრ კავშირი (იუნიორთა I ჩემპიონატში გამარჯვებული), იტალია (VIII ადგილი), ჩეხოსლოვაკია (V) და ბულგარეთი (IV). „ბ" ჯგუფში გამოდიან: საფრანგეთი (II), იტალია (III), იუგოსლავია (VII) და ფინეთი (I ჩემპიონატში არ მონაწილეობდა).

ვინ დაიცავს ტურნირში ჩვენი ნაკრების ღირსებას? მცველები — ა. კრიკუნი (ტარტუს „კალევი", 186 სმ), ვ. ზასტუხოვი (ერევნის „სპარტაკი", 177 სმ), ა. ავრაამოვი (მოსკოვის „დინამო", 188 სმ), ა. ბლიკი (ვოლგოგრადის „დინამო", 180 სმ); თავდამსხმელები — ა. ბალაშოვი (ვოლგოგრადის „დინამო", 204 სმ), ნ. კოვირკინი (ცსკა, 196 სმ), ნ. კრიუჩკოვი (ცსკა, 190 სმ), ვ. ნოვიკოვი (კიევის ასკ, 197 სმ), მ. ქორქია (თბილისის „დინამო", 197 სმ); ცენტრალური თავდამსხმელები — ს. კოვალენკო (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 215 სმ), ვ. ნიკიტინი (ყაზანის „ბურევესტნიკი", 210 სმ), ა. პოლივოდა (კიევის „სტროიტელი", 200 სმ). კრიკუნი და ქორქია 1948 წელს არიან დაბადებული, დანარჩენები კი 1947 წელს.

# ჩემპიონობა კი შორს არ იყო

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს ჭაბუკ ცხენოსანთა პირად-გუნდური პირველობა, რომელიც თბილისში ჩატარდა, წინ უსწრებდა საკავშირო შეჯიბრებას მოსკოვში.

ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის რჩეულმა მხედრებმა — ზუგდიდელმა ა. კრაინენკომ, გუდაუთელმა ვ. შაკრილმა, გალელებმა მ. ლაბაშიამ და ჯ. ქეცბაიამ. ვინც რესპუბლიკურ პირველობაში ამ სპორტსმენთა გამოსვლებს თვალს ადევნებდა, დარწმუნებულია, რომ ისინი შესანიშნავად იყვნენ მომზადებული. მოსკოვში ჩვენი მხედრების გამგზავრების წინ საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რ. კორძაიამ შენიშნა, წლეულს გაცილებით მეტად გვწამს საკუთარი ძალისა და წარმატების იმედიც მეტი გვაქვსო. მისი სიტყვები გამართლდა. საქართველოს წარგზავნილებმა მართლაც გააცვიფრეს მოსკოველები თავიანთი ოსტატობით. ტურნირში 14 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი დღიდანვე გაირკვა ლიდერთა ჯგუფი — მოსკოვის, საქართველოს, რსფსრ-სა და უკრაინის კოლექტივები.

ჩვენი მხედრები არც მეორე დღეს თმობდნენ პირველობას, მაგრამ ასპარეზობის ფინიშზე მათ 0,5 ქულით გაუსწრეს უკრაინელებმა და ჩემპიონობაც გაინაღდეს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს წარმომადგენლებმა საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს დიდი მონდომებითა და შეუპოვარი ბრძოლით. ასეთი იყო სპეციალისტების აზრი. ა. კრაინენკო ასპარეზობის გმირად აღიარეს. „ამორჩევით" დაბრკოლებათა გადალახვისას მას ორივე უზანგი ჩაუწყდა სამი წინაღობის დაძლევის შემდეგ, ცხენის შეჩერება ძვირფასი წუთების დაკარგვას ნიშნავდა, ჩამოქვეითება კი — 8 საჯარიმო ქულას. მხედარი არ დაიბნა, გზადაგზა მოიშორა უნაგირიც და ბრძოლა უბელო ცხენით განაგრძო.

პირად ჩათვლაში პირველი დიდი წარმატება იზეიმა მ. ლაბაშიამ, რომელმაც ვერცხლის მედალი დაისაკუთრა დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე". ორჭიდში უძლიერესთა სამეულში მოხვდა ა. კრაინენკო, რომელმაც III ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ვ. შაკრილიც: მან III ადგილი დაიკავა „ამერიკულ პარკურში".

ასპარეზობის საბოლოო გუნდური შედეგები ასეთია: I უკრაინა — 218, II საქართველო — 217,5, III რსფსრ — 188 ქულა.

თ. გაჩეჩილაძე.

# ადრე დაადგათ

ჩემპიონი გახდა მეჟოვი, II ადგილი ხვდა ყიასაშვილს, III — სანაძეს.

პირდაპირ სამარცხვინო იყო ქალთა მაჩვენებლები. გადახტომის შემდეგ ფეხზე დადგა და საკონტროლო კარი გაიარა მხოლოდ შ. ცნობილაძემ, რომელმაც ადრე სხვა სახეობებშიც აჯობა ყველას. იგი 13,7 მეტრზე გადახტა და ჩემპიონობაც გაინაღდა.

ჩემპიონატი დამთავრდა. შეჯამდა სამჭიდელთა ასპარეზობის შედეგები. ვაჟებში უძლიერესი აღმოჩნდა ა. სანაძე, რომელმაც საბოლოოდ 49,13 ქულა მოაგროვა, II ადგილზე გავიდა გ. ყიასაშვილი — 36,68, III — ი. ჩხეიძე (თბილისი II) — 36,67. ქალებში 28,2 ქულით პირველობა დარჩა შ. ცნობილაძეს, რომელსაც კონკურენცია ვერავინ გაუწია.

საერთო გუნდურ ჩათვლაში აშკარა იყო დედაქალაქელთა უპირატესობა. ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის I გუნდმა — 142,06 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: თბილისის II (106,84) და თბილისის III (86,84) კოლექტივები.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ამ სახეობაში რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი გვყავს, მაგრამ ძალზე გვაფიქრებს ნორჩ მოთხილამურეთა სიმცირე. ამ ასპარეზობაში თითქმის არ ჩანდნენ 10-13 წლის ბიჭები და გოგონები. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ აჭარის გუნდი წარმოადგენდა.

წინა წერილებში უკვე გვქონდა ლაპარაკი შეჯიბრების ორგანიზაციულ მხარეზე და ახლა ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებით. მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ სპორტსმენებს არც კვების მხრივ ჰქონდათ შექმნილი სათანადო პირობები (შეჯიბრების დღეებში ისინი თბილისის ზღვაზე ცხოვრობდნენ). საქართველოს ნაკრები, რომელიც ამ ტურნირის შემდეგ შედგა, ინტენსიური წვრთნის მიზნით, აქვე უნდა მოემზადოს სსრ კავშირის პირველობისთვის და თუ ზემოაღნიშნულ ხარვეზებს ახლავე არ მივაქციეთ ყურადღება, მერე გვიან იქნება.

ო. გელაშვილი.



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში ვ. მეჟოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ჩემპიონატის




# ე ქ ო

## რატინი აპელირებულია

„არგენტინელი ვერასდროს გამოისყიდის დანაშაულს", — ამ აზრს ემხრობიან არა მარტო არგენტინელი ჟურნალისტები, არამედ მთელი მსოფლიოს სპორტული პრესა. მართლაც, ნებსით თუ უნებლიეთ, დასავლეთგერმანელმა მსაჯმა რატინის მიმართ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა.

ამ ფაქტმა სკეპტიკოსებს და ყველას, ვინც ასე თუ ისე, უკმაყოფილოა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შედეგებით, უამრავი კრიტიკული შენიშვნის საბაბი მისცა. ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ ჯერ მხოლოდ ამ ერთმა შეცდომამ უსიამოვნო დაღი დაასვა მთელს ჩემპიონატს და ინგლისის ნაკრების გამარჯვებას.

ინციდენტმა, რა თქმა უნდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც რატინს... 3 მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია. მაგრამ მალე ფიფა-ს მოუხდა თავისი შეცდომის გამოსწორება. მას შემდეგ, რაც გამოირკვა რატინის უდანაშაულობა და მას მსაჯის შეურაცხყოფის ბრალდება მოეხსნა, ფიფა-მ თავის განაჩენი გააუქმა.

არგენტინის პრესა ირონიით შეხვდა ფედერაციის ნაგვიანევ ამნისტიას.

## ჟიულ რიმეს თასი სეიფში

ჟიულ რიმეს თასი ოთხ წელს დაჰყოფს ინგლისში, მერე კი გაემგზავრება მომავალი მსოფლიო პირველობის ქვეყანაში — მექსიკაში.

დაზღვეულია თუ არა ეს საპატიო თასი ახალი თავდასხმისგან? — აი, რა აინტერესებს დღეს მილიონობით ფეხბურთის მოყვარულს მთელ მსოფლიოში. ხომ არ ემუქრება მას ახალი ხიფათი?

ინგლისის ნაკრების გამარჯვების შემდეგ ჟიულ რიმეს თასი გამოფენილი იყო სასტუმრო „როიალ გარდენის" ჰოლში. ასეთი გაბედული ექსპერიმენტის მიუხედავად, თასს საფრთხე არ ელოდებოდა, ვინაიდან მას გულმოდგინედ დარაჯობდა სკოტლანდ იარდის 20 რჩეული დეტექტივი.

და მაინც, ჟიულ რიმეს თასის ბედმა ფეხბურთის მოყვარულები შეაშფოთა. ფიფა-ს მათ კატეგორიულად მოთხოვეს ამ ექსპერიმენტის შეწყვეტა და, საპატიო ჯილდოს უფრო საიმედოდ შენახვა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა ყურად იღეს მოყვარულთა სურვილი და თასს ინგლისის ერთ-ერთი ბანკის სეიფში უკრეს თავი. თასის ადგილსამყოფელი მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცის.

## სახელმწიფო კონტროლის ქვეშ

VIII მსოფლიო ჩემპიონატში ჩილის ნაკრების წარუმატებლობას სამშობლოში კრიტიკულად შეხვდნენ. პრესამ ფართო კომპანია წამოიწყო იმათ მიმართ, ვინც ყოველნაირად უშლიდა ხელს ნაკრების მზადებას. განსაკუთრებით მკაცრი საყვედური დაიმსახურეს საკლუბო გუნდების ხელმძღვანელებმა, რომელთაც ეროვნული ნაკრების ღირსება არად მიაჩნდათ და აფერხებდნენ მასში თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელების გაგზავნას.

ყოველივე ამაზე იმსჯელა ჩილის პარლამენტმა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან ნაკრები გუნდის დაკომპლექტება, წვრთნა და მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება სახელმწიფოს კონტროლით გახორციელდეს. ფეხბურთელთა ნაკრების მეთვალყურეობა პარლამენტმა მთლიანად სპორტის სამინისტროს დააკისრა.



ცხენოსნობის ეროვნულ სახეობათა შორის სანახაობრივად მეტისმეტად საინტერესოა ყაზახური ყიზი ყუუ, რაც ნიშნავს „დაეწიე გოგონას".

ს უ რ ა თ ზ ე: ყიზი ყუუს ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.



რიგის ახალ ტრასაზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის პირველი ეტაპი საგზატკეცილო რკალურ რბოლაში. 175 კბ სმ მოცულობის მოტოციკლებით რბოლა მოიგო მოსკოველმა ა. ოლეინიკოვმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ოლეინიკოვი ტრასაზე.

ფოტო ვ. ნიკოლაევისა (საქდესი).

# ყ ო ვ ე ლ ი   მ ხ რ ი დ ა ნ

## ჯონ ტეილორი სიკვდილს ებრძვის

ასე ამბობენ იმ საავადმყოფოს ექიმები, სადაც ინგლისელი მრბოლელი ჯონ ტეილორი წევს. ამ ჭაბუკის (იგი 30 წლისაც არ არის) ავადმყოფობის ისტორიაში აღნიშნულია: „დაშავდა ნიურბურგრინგში, უბედური შემთხვევის დროს".

კვლავ ნიურბურგრინგი, კვლავ ხიფათით საქვეყნოდ ცნობილი ავტოდრომი, სადაც ყოველწლიურად ტარდება პროფესიონალ ავტომრბოლელთა ტრადიციული შეჯიბრებები. იგი დიდი ხანია იქცა საბედისწერო სარბიელად. იშვიათია აქ ასპარეზობა ისე დამთავრდეს, რომ არავინ დაიღუპოს ან არ დასახიჩრდეს. შარშან, მაგალითად, ამ ავტოდრომზე 4 უბედური შემთხვევა მოხდა, ბოლო 10 წლის განმავლობაში კი 30-ზე მეტი.

ამჯერად, ყველაზე ცუდი დღე დაადგა ჯ. ტეილორს, რომელსაც ციცაბო ვირაჟზე მანქანა გადაუბრუნდა და მძიმედ დაშავდა. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არა აქვთ.

ამ ასპარეზობაში გამარჯვებული, ცნობილი ავსტრალიელი სპორტსმენი ჯეკ ბრებჰემი, რომელიც ძალიან გაახარა ჯილდომ, ასე გამოეხმაურა მეგობრის უბედურებას: „მერე რა, ეს რბოლა ბანქოს თამაშს ჰგავს. ამჯერად მე მხვდა დიდი მოგება, ტეილორმა კი წააგო... მაგრამ ვინ დამიდგება თავდებად, ხომ ხვალ პირუკუ არ მოხდება?"

## უპატიოსნო თამაში

„ის უ პ ა ტ ი ო ს ნ ო თამაში იყო", — განაცხადა პორტილოს მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე ცნობილმა ფრანგმა სპორტსმენმა ქალმა მარიელ გოიჩელმა, რომელმაც სამთო-მოთხილამურეთა ამ ასპარეზობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. გოიჩელმა სერიოზული დანაშაული წაუყენა შვეიცარიელ სპეციალისტს ფლურინ ანდეერს და ავსტრიის წარმომადგენელს გერმან გამონს, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ტრასაზე კართა განლაგებისთვის. „ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გამარჯვება მათი ქვეყნების წარმომადგენლებს მოეპოვებინათო", — თქვა ფრანგმა სპორტსმენმა.

როცა ჰკითხეს, აპირებთ თუ არა ამ ამბის თაობაზე ოფიციალური პროტესტი განაცხადოთო, გოიჩელმა უპასუხა: „არა. ჩვენდა საბედნიეროდ, ავსტრიელი და შვეიცარიელი სპორტსმენი ქალები არ იყვნენ იმდენად ძლიერი, რომ საერთო შედეგების შეცვლა შეძლებოდათ".

# მ ო კ ლ ე დ

● **ევროპის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ უეფა-ს მორიგი ტურნირი ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის გაიმართება 1967 წლის 5-13 მაისს თურქეთში. ფინალში საპატიო პრიზისთვის იბრძოლებენ 16 ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდები.

● **უნგრული** წარმოშობის „ესპანელმა" პუშკაშმა განაახლა კონტრაქტი თავის ძველ კლუბთან — „რეალთან". პუშკაში ამ გუნდში 1966-67 წ. წ. სეზონის დამთავრებამდე დარჩება.

● **ევროპისა** და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელები — მადრიდის „რეალი" და ურუგვაის „პენიაროლი" საკონტინენტთაშორისო თასის ფინალის პირველ მატჩს 1966 წლის 12 ოქტომბერს მონტევიდეოში გამართავენ. საპასუხო შეხვედრა მადრიდში 26 ოქტომბრისთვისაა დანიშნული.

● **მადრიდი.** ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 3 სექტემბერს კადიქსში დაიწყება, მონაწილეობენ „ტურინი", „რეალ სარაგოსა", „რეალ მადრიდი" და „კორინტიანსი" (სანპაულოდან).

● **პარიზი.** საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე მ. დომინგო მიწვეულია ესპანეთის კლუბ „კორდოვას" მწვრთნელად.

● **ბარსელონა.** ესპანეთის 1966-67 წ. წ., საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყება 11 სექტემბერს. შემოდგომაზე ესპანეთის ნაკრები ჩაატარებს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას თურქეთის, ირლანდიისა და ინგლისის გუნდებთან.

● **მადრიდის** „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეისყიდოს ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტეს" მოთამაშე, არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი არტიმე, სამისოდ „ატლეტიკომ" უნდა გაიღოს საკმაოდ დიდი თანხა — 400 ათასი დოლარი.

● **სანტ-იაგო.** ჩილის კლუბი „კოლო-კოლო" მოლაპარაკებას აწარმოებს დი სტეფანოსთან. ფიქრობენ, რომ გამოჩენილი ფეხბურთელი გადავა ამ გუნდის მწვრთნელად. შესაძლოა პირველ ხანებში მან ითამაშოს კიდეც.

● **მადრიდი.** „რეალის" ყოფილი მოთამაშე ჰ. რიალი დაინიშნა მონტევიდეოს „ინდეპენდიენტეს" გუნდის ტექნიკურ დირექტორად.

## ციებ-ცხელება დაიწყო

ინგლისი კვლავ ფეხბურთის ციებ-ცხელებამ შეიპყრო: დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი. I ტურში თავი ისახელა ნაკრების თავდამსხმელმა, 20 წლის ა. ბოლმა, რომლის ერთადერთმა გოლმა „ევერტონს" 2 ქულა მოუტანა ლონდონის „ფულჰემთან" შეხვედრაში — 1:0.

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელებმა ლოუმ (2), ბესტმა, სტაილსმა და ჰერდმა პირველი 20 წუთის მანძილზე 5 ბურთი გაიტანეს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" კარში. მეორე ნახევარში „მანჩესტერმა" 3 გოლი გაუშვა და გაიმარჯვა ანგარიშით 5:3.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ლივერპული" — „ლესტერ-სიტი" 3:2, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ლიდს იუნაიტედი" 3:1, „ასტონ ვილა" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 1:1, „ბერნლი" — „შეფილდ იუნაიტედი" 4:0, „ნოტინჰემ ფორესტი" — „სტოკ-სიტი" 1:2, „შეფილდ უენსდეი" — „ბლეკპული" 3:0, „საუთჰემპტონი" — „მანჩესტერ-სიტი" 1:1, „სანდერლენდი" — „არსენალი" 1:3, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ჩელსი" 1:2. (საქ. ინფ.).

## „სელტიკის" 8 გოლი

შოტლანდიის საფეხბურთო სეზონი თასის გათამაშებით დაიწყო. გლაზგოს „სელტიკმა" კვლავ დაამტკიცა მაღალი კლასი და დაამარცხა „სენტ-მირენი" — 8:2. 4 ბურთის ავტორია ცენტრალური თავდამსხმელი მაკბრაიდი.

„გლაზგო რეინჯერსისა" და „კილმარნოკის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

(საქ. ინფ.).



▲ **ლინკოლნი** (ნებრასკის შტატი). ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა ჩემპიონატის პირველ დღეს დამყარებულ იქნა 2 მსოფლიო რეკორდი: 14 წლის სამხრეთაფრიკელმა გოგონამ კარენ მიუირმა 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში აჩვენა 2.26,4, ხოლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა დონ შოლანდერმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.11,6.

▲ ვ ა რ შ ა ვ ა. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 400 მ რბენა მოიგო 19 წლის პოლონელმა ი. ვერნერმა — 45,7. ახლა პოლონელებს ამ დისტანციაზე 4 საუკეთესო მორბენალი ჰყავთ და სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ისინი პირველნი იქნებიან ევროპის ჩემპიონატში. 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობეს მასპინძლებმა — ირენა კირშენშტეინმა (11,3) და ვ. მანიაკმა (10,4), პოლონელთაგან სხვებმაც გამოიჩინეს თავი: ი. სიდლოს შუბი დაეცა 80,94 მეტრზე, ხოლო ქ. პიონტკოვსკის ბადრო — 59,15 მეტრზე.

ფეხბურთი ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66443 – საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.   11   უე 12037